N237 2015 წლის 1 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №626 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №626 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/12/2014, 010220000.10.003.018257) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ჰ[4]“ ქვეპუნქტი და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანამდე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების საერთაშორისო ცენტრის ტექნიკურ-მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერა ამავე კანონით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის განსაზღვრული ასიგნებებიდან.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის პირველი ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**